[illegible]

პროლეტარებო [illegible]

# ერთობა

კვირა 6 თებერვალი 1921 წ.

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი, ცალკე ნომერი — 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—78, კანტორის 16—62

№ 28

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა

№ 28

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი, დედა ნინო იოანეს ასული, მამა კონსტანტინე იოსების ძე, ძმა ვიქტორი კონსტანტინეს ძე, რძლები პროსკოვია პეტრეს ასული, ნადეჟდა ნიკოლოზის ასული და ძმისწული ნინუსია სვიმონიშვილები, დედამთილი ანასტასია ალექსანდრის ასული და მაზლი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილები, აუწყებენ ნათესავთ ნაცნობებს და მეგობრებს რომ ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა უდროოდ გარდაცვალებულ დაუვიწყარი საყვარელ და ძვირფასი

ელენე კონსტანტინეს ასულის ბარათაშვილის

სულის მოსახსენებლად კვირას, 6 თებერვალს დილის 11 ნ. ხ. საათ. (432—4—4)

კვირას, 6 თებერვალს, სამხედრო ტაძარში 12 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი

ნინო ჭყონიას ასულის აბულაძის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს ქალი ოლღი კალანდაძისა, შვილიშვილები: ბესარიონ ბერეჟიანი, იუსტინე, ქსემიდა, ნინო და ესე კალანდაძეები და რძლები: ელენე და კესარია. (472 1—1)

სამუდამოდ დამწუხრებული დედა ცუცუ, მამა იაგორ და ძმები: კოლია, ირადიონ, გრიშა და რძალი თამარა ეგრალიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 12 თებერვალს, შაბათს დილით 12 საათზე, ქ. ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მათი უდროოდ დაკარგულის

სევერიანეს

ხსოვნის აღსანიშნავად (462 1—1)

საქართველოს ნაფიც ვექილთა საბჭო გულითადი მწუხარებით აუწყებს რესპუბლიკის მოქალაქეთ სენატის თავმჯდომარის

დავით ბესარიონის ძის ხელთუფლიშვილის

გარდაცვალებას. (485 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი, თავზარდაცემულნი ელისაბედ, ეფემია და ნინო ბესარიონის ასულნი და პლატონ ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ პარასკევს, 4-ს ამა თებერვალს, გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ძმა

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, (პეტრე დიდის ქუჩა, სახლი № 22, ბინა № 1) რკ. გზის სადგურზე გამოსვენება ორშაბათს 7 თებერვალს, დღის 12 საათზე, დაკრძალვა ქუთაისში, წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში 9 თებერვალს. (ნ. 2—1)

იუსტიციის სამინისტრო მწუხარედ აცხადებს, რომ საქართველოს სენატის 3 რველი თავმჯდომარე

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი

გარდაიცვალა 4 თებერვალს, ღამის თერთმეტ საათზე, პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. პეტრე დიდის ქ. სახლი № 22, ბინა 1. გამოსვენება ბინიდან სადგურზე 7 ამა თებერვალს, შუადღის 12 საათზე, დაკრძალვა ქ. ქუთაისში წმინდა გიორგის ეკლესიაში 9 თებერვალს. (486 2—1)

4 ს ამა თებერვალს გარდაიცვალა საქართველოს სენატის თავმჯდომარე

დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი

რასაც საქართველოს სენატი ღრმა მწუხარებით აუწყებს რესპუბლიკის სასამართლო დაწესებულებათ და საზოგადოებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის ბინაზე, პეტრე დიდის ქუჩა, № 22; რკინის გზის სადგურზე გამოსვენება ორშაბათს, 7 თებერვალს, დღის 12 საათზე, დაკრძალვა ქ. ქუთაისში, წმ. გიორგის ეკლესიის გალავანში 9 თებერვალს. (483 2—1)

ღრმად დამწუხრებული ძამა მღ. პეტრე და დედა მარიამ, და ჟურანა და ძმა მირიან კარბელაშვილები, ბიძა კონსტანტინე, დეიდა ნატალია და დეიდაშვილი დიმიტრი ნასიძეები, ბიძა ვასილი ოჯახითურთ და დეიდა ლიზა ფიცხელაურები და დეიდა ელენე ბოსიკაშვილი ოჯახითურთ, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს უდროოდ დაკარგულ თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მეორე კლასის მოწაფი

შოთა პეტრეს ძე კარბელაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე მტკნოვის ქ. № 6. გამოსვენება და დაკრძალვა ორშაბათს, 7 თებერვალს, დილის 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე. (479 1—1)

კვირას მანიფესტაციის გამო

ტრამვაის მოძრაობა

დაიწყება 2 საათზე და შესწყდება 10 საათ. 30 წ. ღამის.

ტრამვაის დირექცია.

(487—1—1)

მეორე ქართული კლუბი

აცხადებს წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ

საწევრო გადასახადი

თანახმად საზოგადო კრების დადგენილებისა არის 300 მან. და კანდიდატთა 500 მან. ვინც ამ გადასახადს არ შემოიტანს 15 თებერვლამდე გადახდება 300 მან. ჯარიმა.

(ნ. 1—1)

სახელმწიფო ოპერა

კვირას 6 თებერვალს

საზეიმო წარმოდგენა

ბილეთებს ანაწილებს პროფესიონალური კავშირი.

ორშაბათს 7 თებერვალს ტრავიატა. სამშაბათს, 8 თებერვალს დონ-ჟუანი

დასაწყისი სრულ 8 ს.

(ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი

კვირას, თებერვლის 6-ს

საქართველოს იურიდიულად დამოუკიდებლობის ცნობის აღსანიშნავად

საზეიმო წარმოდგენა

1. სიტყვა ს. დევდარიანისა.
2. სამშობლო მე 4 და მე-7 მოქ.
3. დენშჩიკის ბრალია (რუსულად)
4. ცოცხალი სურათები წარსულიდან.
5. აპოთეოზი—დამოუკიდებელი საქართველო.

სიმფონიური ორკესტრი ა. გვილესიანის ლოტბარობით შეასრულებს ეროვნულ ჰიმნებს და სხვა მუსიკალ. ნაწარმოებს. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ბილეთები პროფესიონ. კავშირთა საბჭოში.

სამშაბათს, თებერვლის 8 ს

პიესად ზერდო-ზმანია

(ნ. 5—1)

# განცხადება

მონდობილობის გამო და თანახმად წესდებისა, მოხსენებულ სტ. 59, ტ 11, ნ, 2 ვექრობის დადგენილებისა, მაქვს პატივი გაუწყოთ საყოველთაო ცნობამდი, რომ თანახმად ხელშეკრულებისა, დამოწმებულ ბათომის ბირჟის ნოტარიუს ქარცივაძის 25 იანვარს 1921 წ. რესტრის № 123 და ნოტარიუს მაჭავარიანის დამოწმებული 2 თებერვალს 1921 წ. რესტრის № 1047, რომ ქალაქ თფილისში დაარსებულია სრული ამხანაგობა შემადგენლობით, სახელწოდებით „კონცესია მდინარე ტყიბულზე", შემდგარი სრული ამხანაგობისაგან საფრანგეთის მოქალაქის ბეზ ალფრედის ძის გიზისა და საქართველოს სამშენებლო-სამრეწველო და სავაჭრო აქციონერული საზოგადოება „ოქროს ვერძი". მთავარი მართველობა ამხანაგურ საქმეებისა ეკუთვნის მონაწილეთა საზოგადოების ყრილობას. წარმოება და აღსრულებლობა სამეურნეო ნაწილებისა და განკარგულება საქმის წარმოებისა ევალება ამხანაგობის საქმის მომწესრიგებელს ბეზ ალფრედის ძე გიზ, იმ დრომდი სანამ რიცხვი სრული ამხანაგობისა არ მიაღწევს ოთხ პირამდე.

(480—1—1)

მულეკრის თემის გამგეობა აცხადებს

რომ თემისთვის საჭიროა

გამოცდილი ფერშალი

სავალდებულოა ქართული ენის ცოდნა. ჯამაგირი შეთანხმებით. მიმართეთ სადგ. ს. ჯავახო, ბულიკრ. ს თემის გამგეობას. (476—2—1)

# განცხადება.

კვირას, 6 თებერვალს, შუადღის 12 საათზე მთავრობის თავმჯდომარე მიიღებს სასახლეში მილოცვას უცხოელ წარმომადგენელთაგან საქართველოს რესპუბლიკის იურიდიულად ცნობის გამო. (შესავალი სამხრეთ კარებიდან).

M-r le Président du Gouvernement recevra des felicitations des M-rs les Representants des Missions Etrangères pour la reconnaissance de jure de la Rèpublique Georgienne dans le Palais, dimanche, le 6 fevrier, à midi.

(Entrée du Sud)

Въ воскресенье, 6-го февраля, въ 12 часовъ дня Предсѣдатель Правительства будетъ принимать во Дворцѣ поздравленія отъ Иностранныхъ Представителей—по случаю признанія de jure Республики Грузіи.

(Входъ съ южнаго подъѣзда).

## დღევანდელი დღესასწაული

აუცილებელი საჭიროა გამოსავალი მიიცეს იმ სიხარულს, რომლითაც აღვსილია ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მოქალაქის გული საქართველოს იურიდიულად ცნობის გამო. ეს სიხარული საუკეთესო დამამტკიცებელია იმისა, რომ ხალხს კარგად ესმის აქვს შეგნებული ამ აქტის მნიშვნელობა და ის რეალური ნაყოფი, რომელსაც მოუტანს ჩვენს ქვეყანას მისი ფორმალურად ჩარიცხვა სახელმწიფოთა რიგში. და რაც უფრო საყოველთაო იქნება ეს დღესასწაული, რაც უფრო ფართო საზოგადოება გაუწევს ჩვენი სიხარული, მით უფრო გაიზრდება იმედი ჩვენი ქვეყნის წარმატებისა, მით უფრო ძლიერად იფეთქებს რწმენა, რომ საქართველო მაგრად დგას ფეხზე და მისი სახელმწიფოებრივი არსებობა და მისი ბრწყინვალე მომავალი უზრუნველყოფილია. და ვინ არ იცის, რომ რწმენა მთებსაც კი ამოძრავებს. ამიტომ ჩვენ დიდის კმაყოფილებით ვეგებებით იმ დღესასწაულს, რომელიც დანიშნულია დღევანდელ დღეს ჩვენი პროლეტარიატის და ჩვენი სახელმწიფოს ხელმძღვანელთა მიერ.

ეს უნდა იყოს დღესასწაული მთელი საქართველოსი, მთელი მის მიწა წყალზე მოსახლე ხალხისა განურჩევლად ეროვნებისა. ჩვენი სამშობლო აქამდის მხოლოდ და მარტო თავის ძალაზე იყო დაყრდნობილი და თავის ძალით იბრძოდა არსებობისათვის. იმ საერთო კორიანტელში, რომელშიაც იგი იმყო, რომელშიაც ვერავინ ვერ არჩევდა, სად არის მტერი და სად-მეგობარი, საქართველოს ვერავისზე შეეძლო დაყრდნობა. სამი წლის არსებობის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოევლინა მას დამხმარე ხელი. ეს იყო ხელი საერთაშორისო სოციალისტური პარტიების დელეგაციისა. იურიდიული ცნობა საქართველოს აყენებს სრულ უფლებიან სახელმწიფოთა რიგში და მისი ყოფნაარყოფნა ამიერიდან ყველა სახელმწიფოთა საკითხად გადიქცევა, შეუძლებელი გახდება განუკითხავად მისი დაჩაგვრა და მისი უფლებების გათელვა. მხოლოდ ამ ფაქტის გათვალისწინებაც საკმარისია იმის მისახვედრათ, რომ იურიდიული ცნობა გაამაგრებს ჩვენს ქვეყანას და მედგრად წინ წასწევს მის ბრძოლას საერთო კრიზისისაგან თავის დასაღწევად, მტკიცე სახელმწიფოებრივ წესების დასამყარებლად და ყველა მოქალაქეთა ცხოვრების ბუნებრივ კალაპოტში ჩასაყენებლად.

დღევანდელ დღეს იდღესასწაულებს მთელი ქართველი ერი. სახელმწიფოებრივი განმტკიცება უდიდესი კულტურული ფაქტორია, უდიდესი საშუალება კულტურული აყვავებისა, ეროვნული წარმატებისა, მისი ნიჭის გაფურჩქვნისა. და მთელი ერი, განურჩევლად კლასისა, წოდებისა, ჯგუფისა, ქართველობა, როგორც მთლიანი, გრძნობს საქართველოს იურიდიულად ცნობის დიდს მნიშვნელობას.

მოდღესასწაულეთა შორის პირველ რიგებში ჩადგება ჩვენი ქვეყნის დემოკრატია. დაულალავი რევოლიუციური ბრძოლით შექმნა მან დამოუკიდებელი სახელმწიფო, საშინელი მსხვერპლით, თავისი საუკეთესო შვილების სისხლის ფასით დაიფარა მან საქართველო ირგვლივ მომდგარ მტრისაგან. მან მოაწყო ეს ახლად შობილი სახელმწიფო თავისი გემოვნების და თავისი საჭიროების მიხედვით. და დღეს, როდესაც ეს მის მიერ შექმნილი, მის მიერ გადარჩენილი და თავის იდეალების თანახმად მოწყობილი სახელმწიფო განმტკიცების და წარმატების გზაზე დგება, მას აქვს საბუთი კმაყოფილება და სიხარული იგრძნოს.

მაგრამ ყველაზე დიდს სიხარულს განიცდის ჩვენი დემოკრატიის მოწინავე რაზმი—პროლეტარიატი და მისი პოლიტიკური პარტია—სოციალ დემოკრატია. საქართველოს ცნობა—ეს არის სრული გამარჯვება და გამართლება იმ პოლიტიკისა, რომელსაც ეს კლასი და ეს პარტია ატარებდა. საქართველო მიიყვანა ამ უდიდეს გამარჯვებამდის ამ კლასის და ამ პარტიის ხელმძღვანელობამ. ამ დღესასწაულშიც ეს კლასი და ეს პარტია მისცემენ ტონს. დღეს მათი ხმა უნდა გაისმას ყველაზე მკაფიოდ, ყველაზე მჭექარედ, დღესასწაულშიაც მათ უნდა ეჭიროთ პირველი ადგილი ისევე, როგორც პირველი ადგილი ეჭირათ იმ მუშაობაში, რომელმაც მოგვცა საზეიმო საბუთი.

## რა მოხდა?

დეპ. ჩხიკვიშვილი ხელით შეეხო შ. ნუცუბიძეს არა სხდომის დროს და არა დამფუძნებელი კრების დარბაზში. ინციდენტი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დეპ. ნუცუბიძემ დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან წამოსროლილი შეურაცხყოფა არც უკან წაიღო და არც დეპუტატი ბ. ჩხიკვიშვილის წინადადება მიიღო, რომ იგი სამედიატორო სამართალში გაყოლოდა; ჩხიკვიშვილმა თავისი მხრით მედიატორეთ იქვე დაუსახელა ნუცუბიძეს მისი ფრაქციული ამხანაგი დეპ. ს. დადიანი. ნუცუბიძე გაექცა ამ წინადადებას და მით მან აშკარათ უარი თქვა კულტურული საშვალებით სადავო საგნის გარჩევაზე. მან ხელი არ აიღო ცილისწამებაზე და დეპუტატობის შეუვალობას შეაფარა თავი. ამან გამოიწვია სამწუხარო ინციდენტი.

კულტურულ საზოგადოებაში ასეთი კერძო ინციდენტი ჩვეულებრივი წესით გადაიჭრებოდა: შეურაცხყოფილი მხარე მიმართავდა ან სამედიატორო, ან ოფიციალურ სასამართლოს და იქ აგებინებდა პასუხს თავის შეურაცხმყოფელს.

მაგრამ ფედერალისტებმა სხვაფერ გასაჯეს.

ჯერ იყო და მათ ფეხზე დააყენეს თავისი სტუდენტობა და ასტეხეს განგაში პრესაში. მაგრამ არც ამით დაკმაყოფილდენ და დამფუძნებელ კრებაში შემოიტანეს წინადადება ჩხიკვიშვილის ამ უმაღლესი დაწესებულებიდან სრულიად განდევნის შესახებ. მათ მოითხოვეს, რომ დამფუძნებელ კრებას კერძო ინციდენტი გაერჩია. პარლამენტის ისტორიამ იცის ასეთი და გაცილებით უარესი ინციდენტები. საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში და ბევრ სხვა ქვეყნის პარლამენტებში თვით სხდომის დროს არა ერთხელ ქონებია ადგილი დეპუტატთა შორის შეტაკებას. მაგრამ ვგონებ არც ერთი ქვეყნის პარლამენტის ისტორიამ არ იცის იმის მაგალითი, რომ ვინმეს ამის გამო მოეთხოვოს დეპუტატის წოდების ახდა და პარლამენტიდამ გაძევება. ვიმეორებთ, არ მოუთხოვიათ ეს მაშინაც კი, როცა ასეთ სკანდალს თვით პარლამენტის სხდომაზე ქონებია ადგილი.

ეს „გენიალური" აზრი მხოლოდ ჩვენს ფედერალისტებს მოუვიდათ.

პოლიტიკური პარტიისათვის ასეთი საქციელი პირდაპირ სკანდალია.

მაგრამ ამ საქმეს აქვს კიდევ მეორე, პირველზე უფრო საინტერესო მხარე. დეპ. ჩხიკვიშვილის საქციელი ფედერალისტებს და მათ ამყოლ სოც. რევოლიუციონერებს და დაშნაკელებს მიაჩნიათ დეპუტატის და დამფუძნებელი კრების ღირსების ყოვლად დამამცირებლად და დეპუტატის წოდების შეუფერებლად.

მაგრამ კითხვა იბადება: ვინ არიან ეს მკაცრი მსაჯულები? აქვთ თუ არა მათ ზნეობრივი უფლება ასეთი მოთხოვნილებით გამოვიდნენ?

ყველამ იცის, რომ ოპოზიციამ, განსაკუთრებით ე. წ. „მემარცხენე" ოპოზიციამ დამფუძნებელი კრების მაღალი ტრიბუნა გადააქცია ქუჩური ლანძღვის, ცილისწამებისა და უპასუხისმგებლო სიტყვების ადგილად. მათ დამფუძნებელ კრებაში შემოიტანეს ზნეჩვეულება და ქარგონი ცნობილ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" საჩაიებისა. ნეტარხსენებული პურიშკევიჩი შურით აივსებოდა, რომ სცენიდან ადგომა და ყურის დაგდება შეეძლოს ჩვენი ოპოზიციის ორატორებისათვის. რა გინდათ რომ აქ არ გაიგონოთ. არ დარჩენილა სალანძღავი სიტყვები, რომ ახლა „განათლებულ" და „გაკულტურებულ" ოპოზიციის ჩია დეპუტატებს არ ეხმაროთ. დეპ. შ. ნუცუბიძე, ეს უკაცრავათ პასუხია, პროფესორი, ამ მხრივ საარაკო პიროვნებას წარმოადგენს. ამხ. პ. ბერიშვილმა 4 თებერვლის სხდომაზე ამ „დეპუტატის" უზრდელობის და შემაძრწუნებელი თავაშვებულობის მაგალითები დაასახელა და დამსწრე საზოგადოებამ ნათლად დაინახა, თუ რა კულტურული „ბაგაჟის" მატარებელია ეს ხალხი, რომელიც დღეს ფარისევლურად გულში ხელს იცემს და „უკულტურობას" ებრძვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ ფედერალისტ-ესერების ცოდვათი ადვილად გადაიდვა ჩვენს დაშნაკელებს და ისინიც ზნეობისა და კულტურიანობის დამცველებათ მოგვევლინენ 4 თებერვლის სხდომაზე. ზინვორების პარტია, რომლის მთელი ისტორია ძალადობის და თვითნებობისაგან შედგება, რომელსაც არა ერთი და ორი სოციალისტი გამოუსალმებია წუთი სოფლისთვის მაუზერისტების შეწევნობით—ეს პარტია ასე აუფორიაქებია დეპ. ჩხიკვიშვილის საქციელს!

როგორც წესი და რიგი იყო, ამ საკვირველ კამპანიას შეუერთდა ჩვენი ცნობილი ანარქისტი, აწ პარტიიდან გაგდებული კ. ნინიძე, რომელმაც დაიწყო რაღაც ლუღლუღი სოციალისტურ სინდისზე, რითაც დაამსხვრია ლდო შენგელაიასა და კოჭპ. ცხოვრება ტაში. ბუნებით სკანდალისტი, განოვის ქუჩის გმირი სოციალისტურ სინდისზე ლაპარაკობს!

სხვის სინდისი მას არ აქვს დამშვიდებული!

ეს ურიგო კომპანია ოთხ თებერვალს შეერთდა რიგიანობის დასაცავად და იერიში მიიტანეს სოც.-დემ. ფრაქციაზე, რომელსაც არ სურდა დამფუძნებელი კრება კერძო ინციდენტებისა და სკანდალების გამრჩევ დაწესებულებათ გადაექცია.

ამით სოც.-დემოკრატიამ იხსნა პრეს-

# პარტიულ ორგანიზაციებს.

ამხანაგებო!

თანახმად პარტიაში არსებული წესისა, წარმომადგენლობითი დაწესებულებებში არჩეულ კანდიდატთა სიას ამტკიცებს ცენტრალური კომიტეტი.

ამ მოკლე დროში უნდა მოხდეს არჩევნები საქალაქო და საერობო თვითმართველობათა ხმოსნების.

ადგილობრივი ორგანიზაციები მოვალენი არიან დაჩქარებით წარმოადგინონ ჩვენი პარტიის კანდიდატთა სიები, რათა ცენტრალურმა კომიტეტმა დროზე შესძლოს მათი განხილვა და დამტკიცება.

სიებს თან უნდა ახლდეს თითეული კანდიდატის სრული დახასიათება.

აუცილებლათ უნდა იყოს აღნიშნული შემდეგი:

1. რამდენი წელიწადია კანდიდატი პარტიაში მუშაობს,
2. სად მუშაობდა წინეთ და რა როლს ასრულებდა ორგანიზაციაში,
3. პროფესია და განათლება კანდიდატის,
4. ეხლანდელი მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა,
5. არის თუ არა კანდიდატი რომელიმე პარტიული ხელმძღვანელი ორგანიზაციის წევრი.
6. მოკლე დახასიათება მისი პირადი თვისებების.

ამ ცნობების მოუწოდებლათ ცენტრალურ კომიტეტს საშვალება არ ექნება კანდიდატთა სიების დამტკიცების.

ამიტომ პარტიული ორგანიზაციები ეხლავე უნდა შეუდგენ ამ საქმეს, რათა სიები თავის დროზე იქნას გადმოგზავნილი.

საქ. სოც. დემ. მუშ. პარ. ცენტ. კომ. სეკრეტარიატი.

---

ტიერ დამფუძნებელი კრების მისი ცრუ დამცველებისაგან.

სკანდალებისა და დიდის მაგინებელთა პარტიამ კი თითონ გაიშოლტა თავის თავი, როცა უმ ღლესი ზნეობისა და რიგიანობის მქ დაგიბლის როლში გამოვიდა, რომელიც მას ისე არ შეეფერება, როგორც აქლემს უნაგირი.

## საქართველოს იურიდიულად ცნობა და მისი ეკონომიური პერსპექტივები.

ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრმა საქართველოს დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: საქართველოს იურიდიულად ცნობას ჩვენი ეკონომიური მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენში და აგრეთ ევროპის კაპიტალისა, ტეხნიკებისა და სპეციალისტების შემოყვანას ყოველთვის ეღობებოდა წინ ჩვენი იურიდიულად არ ცნობა.

დასავლეთ კაპიტალის წარმომადგენლებს, რომელთაც სურდათ დაეჭირათ ჩვენთან ეკონომიური ურთიერთობა, არ ქონდათ კიდევ ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ ვინ იკისრებდა იმ ნაბიჯების პასუხისმგებლობას, რომელსაც გადადგამდა მხოლოდ ფაქტიურად ცნობილი მთავრობა. ამიტომ ბევრს, რომელსაც აინტერესებდათ საქართველო და რომლებიც იცნობდნენ ჩვენს ქვეყანას აშინებდა საკითხი: როგორ დასკვნამდე მივლენ დიდი სახელმწიფოები დასავლეთ საქართველოს ცნობის საკითხის შესახებ. ჩვენ გვცნობდენ ისეთ პირათ, რომელსაც ენდობოდენ თამასუქზე ხელის მოწერის გაკეთებას, მაგრამ ასეთი ხელის მოწერის უფლება არ გვქონდა. საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის შემდეგ კი, ჩვენ არა მარტო არსებითად, არამედ ფორმალურადაც ისეთ კონტრაგენტათ ვხდებით, რომელიც აქვს უფლებას უფლების ყველა მოთხოვნილებას. მაგრამ საქართველოს იურიდიულად ცნობას აქვს მნიშვნელობა არა მარტო ეკონომიურ უფლებრივ დამოკიდებულების თვალსაზრისით, მას აქვს მნიშვნელობა აგრეთვე უცხო სახელმწიფოებთან ეკონომიურ ხასიათის საჯარო უფლებრივ დამოკიდებულების დაჭერის თვალსაზრისით. ამდენ ხანს მაგალითად, სავაჭრო ხელშეკრულებებს და ტრადიციულ შეთანხმებებს ჩვენ უახლოეს მეზობლებთან ვდებდით. ამიერიდან კი ჩვენ ასეთი ხელშეკრულებებით უნდა შევეკრათ აზიისა და ევროპის ყველა სახელმწიფოებს.

სხვათა შორის ამჟამად არავითარი დაბრკოლება აღარ არსებობს იმისთვის, რომ საქართველო ჩარიცხონ საერთაშორისო ფოსტა-ტელეგრაფის კავშირში, ვინაიდან კავშირის ბიურო, რომელიც დაგვპირდა კავშირში ჩარიცხვას, ერთად ერთ დაბრკოლებას ხედავდა იმაში, რომ ჩვენ არ ვიყავით იურიდიულად აღიარებული. ფოსტა ტელეგრაფის საშუალებით მოწყობილი დამოკიდებულება კი თავის მხრით არის საფუძველი იმისთვის, რომ ეკონომიური ურთიერთობა წესიერ ნიადაგზე დადგეს. ეკონომიურ ასრის ევროპაში ყ ფნის დროს რომ ეცნო უმაღლეს საბჭოს ჩვენი დამოუკიდებლობა იურიდიულად, ჩვენ უეჭველად მეტი შედეგებით დავბრუნდებოდით. ჩვენი ის კონტრაგენტები, რომლებიც ჩვენ ხელშეკრულებებით შეიკრან და ხოლოდ ფაქტიურად გვიცნობდნენ, ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ჩვენი სამართლიანი მოთხოვნილებანი დიდ სახელმწიფოების მიერ დაკმაყოფილებული იქნებოდა. პრაქტიკული მუშაობა ახლა მათთან უფლებრივის მხრით უფრო ხელსაყრელ პირობებში იწყება.

ეს კი უეჭველია, უფრო გაძლიერების ფინანსიურ და სამრეწველო წრის წარმომადგენლების მხრით ინტერესს საქართველოსთან მტკიცე ეკონომიურ კავშირის დაჭერისას. ჩვენი მორიგი მიზანი ამ ჟამად არის საკუთარი ფულის სისტემის შექმნა. მართალია, თითქოს საერთო ეკონომიური პირობები არ არის ამისათვის ხელსაყრელი, მაგრამ ამ მეტად ძნელი საქმის განსახორციელებლად ჩვენ გვაქვს შემუშავებული განსაზღვრული გეგმა და რეალური პერსპექტივები. ხარჯების შესამცირებლად ჩვენ ყოველგვარ ზომას ვღებთ, კერძოთ ჩვენ დიდათ შევამოკლეთ ის ხარჯები, რომელიც ჩვენ საგარეო წარმომადგენლობას ეჭირდება. ზოგიერთ ქვეყნებში, კავშირის დასაჭერად, ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ საკონსულოების დაარსებით, ამისათვის კი უნდა გამოვიყენოთ ადგილობრივად მცხოვრები ჩვენი მოქალაქეები. საერთოდ, სთქვა დასასრულ მინისტრმა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტიდან, ჩვენი ეკონომიური მომავლისათვის, გამომდინარეობს მეტად დიდი მნიშვნელობის მქონე შედეგები. გარდა ამისა რესპუბლიკის იურიდიულად ცნობისაგან გამომდინარე უფლებებით სარგებლობა დამოკიდებულია კონკრეტულ მოვლენებისა და ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებისაგან.

## დამფუძნებელ კრებაში

4 თებერვლის სხდომა.

შთაბეჭდილება.

თორმეტი საათია. კრების დარბაზში დეპუტატები არ სჩანან. ქანდარა კი საკმაოდ ჩალაგებულია. საკმარისია ერთი თვალი გადაავლო, რომ შეამჩნიო უმთავრესად „ობივატელების" შემადგენლობა. ასეთი დიდი რიცხვი მოქალაქეების შეკრებილა სენსაციისთვის. ის ისე დის სიამოვნებით წავიდა ცირკში ჭიდაობის სანახავად, ან ცხენების ჭენების საყურებლად, მაგრამ დღეისით ეს არ ეწყობა. მისთვის ნუცუბიძის ინციდენტი „თვალის-სეირის" ამბავია მაგრამ დავანებოთ ამ არა ჩვეულებრივ სტუმრების დიდ უმრავლესობას თავი. ისინი არ არიან საინტერესო,

დეპუტატები იჭერენ თავიანთ ადგილს. თავმჯდომარე ხსნის კრებას და აცნობს მას სოციალისტ-ფედერალისტების განცხადებას დეპუტატ ბ. ჩხიკვიშვილის წევრობიდან გადაყენების შესახებ. რა მიმართულება მიეცეს განცხადებას? აი ეთია დასმული საკითხი.

დარბაზში სიჩუმეა. ტრიბუნაზედ ადის მესხიშვილი. ცრუ კლასიკური აღელვებით და ხელოვნური პათოსით ის ასაბუთებს მისი ფრაქციის წინადადებას არსებითად განხილვის საჭიროებას. მას რომ უსმენ, რწმუნდები, რომ არც ერთი ფრაზა მისი გულის სიღრმიდან არ არის ამოღებული, გგონია, რომ რამოდენიმე წუთის შემდეგ მას შეუძიან სულ სხვა საგანზედ, თუნდაც ჩინეთის მანდარინებზედ, ასეთივე აღტაცებით ილაპარაკოს...

სოციალ დემოკრატიულ ფრაქციის სახელით ლაპარაკობს კ. გვარჯალაძე. „დამფუძნებელი კრება ვერ შეუდგება ამ საქმის გარჩევას. ინციდენტი მოხდა მის გარეშე. თუ ნუცუბიძე მოისურვებს, სამართალს მიმართოს. დამფუძნებელი კრება არ გადიქცევა მის სურვილს ბევრი მომხდარა ასეთი სამწუხარო ინციდენტები ევროპაში, მაგრამ პარლამენტს ის არ განუხილავსო". მოგეხსენებათ, რომ თ. ღლონტი ენციკლოპედისტია, საქართველოს გუბილტია. ის ავტორიტეტულად იძახის ადგილიდან, რომ ამის მსგავსი არსად მომხდარაო, რასაკვირველია, სოციალისტ-ფედერალისტები ეთანხმებიან თედოს. ყველა სხვა დეპუტატებს თედოს შესახებ უკვე შემუშავებული აქვთ აზრი.

ტრიბუნაზე ადის ლეო შენგელაია. ერთ თვალს გადაავლებს ქანდარას და შემდეგ ზევით არ იხედება. ეტყობა, რომ მას სრაფად ეჰაშნიკა რუსთაველის პროსპექტიდან მოსული სტუმრები. ისარგებლა რა თავისი ხუთი წუთით, ლეო შენგელაია შეეხო მთელს პოლიტიკას, საგარეოს, საშინაოს, მუნიციპალურს, უნდოდა ცოტა რამ ეთქვა მომარაგების სამინისტროზედ, მაგრამ დრო გავიდა და ნიშნად თავის უკმაყოფილებისა ერთი დღით, თავის ნებით დასტოვა სხდომა და მის ამხანაგებთან ერთად სასეირნოდ წასვლა გადაწყვიტა.

ალექსანდრე ასათიანმა დიდი გულისწყრომა გამოიწვია ფედერალისტების მხრით, როდესაც მოითხოვა საქმის კომისიისთვის გადაცემა. მას დასწამეს რომ შენგელაიას კომისია ყავდა სახეში,

სამაგიეროდ კ. ნინიძეს ბევრი რამე უკრეს ფედერალისტებმა. კრილოვს თურმე სულ არ ეინტერესებოდა ნუცუბიძის ხალხი. თავისი ხუთი წუთი მან მოანდომა იმის დასაბუთებას, რომ აქვს უფლება ილაპარაკოს ხალხის სახელით.

ტრიბუნაზე ადის დეპუტატი ბერიშვილი. ის ხშირად არ ლაპარაკობს დამფუძნებელ კრებაში. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ის ჩინებული ორატორია. ის საქართველოს მუშების მოწინავე ჯგუფს ეკუთვნის. გამოსთქვამს ფრაქციის სახელით მწუხარებას ინციდენტის გამო და გადადის სიტყვის თავისუფლებაზე, რომელიც ვითომ შელახა ჩხიკვიშვილმა. დასაშვებია თუ არა, რომ ერთმა დეპუტატმა მეორე მის ამხანაგს „ჯიგარი" დაუძახოს? —კითხულობს ბერიშვილი. „ეს ჩაიდინა დეპუტატმა ნუცუბიძემ"—იძახიან ადგილებიდან. ისიკო ბარათაშვილმა მაშინვე იგრძნო, რომ აქ არის საჭირო ადვოკატობაო და დაიძახა: ეს საჯაროდ არ ყოფილაო.

დასაშვებია თუ არა, რომ ლეო შენგელაიას „მეგრული თხა" დაუძახონ დამფუძნებელ კრებაშიო? „ეს ჩაიდინა ნუცუბიძემ"—იძახიან ადგილიდან. ლეო შენგელაია, რომელიც ჯერ დარბაზშია, გაფითრებული და ფერწასული თავს ლუნავს.

დასაშვებია თუ არა, რომ დეპუტატმა დეპუტატი სცემოს მის ამხანაგებს?—დინჯათ, მაგრამ მწარე კილოთი კითხულობს ბერიშვილი. „ეს არის სამართლიანი"—იძახიან ადგილებიდან.

გამოირკვა, რომ დამფუძნებელ კრებაში ყოფილა ხალხი, რომელთაც დიდი ამბით გადიტ[illegible] აქვთ იმედი, ზრდილობით გადიქცევით წევრების პირადი მოვალეობა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ კრებაზე შემოვალთ. კრებიდან გაგდებული ის პირები, რომელთაც შეუხებია ამ ხალხის ღირსება. სარდაფში მას ზურგს უქცევენ შეუთვისებლობით და რომლებთაც ვერ შეეგუებიან მუშათა წარმომადგენლის ბერიშვილის უბრალო დინჯი სიტყვის თავისუფლება დღესაც ნიშნავსო.

დამფუძნებელმა კრებამ უარყო სოციალისტ-ფედერალისტების წინადადება. მესხიშვილმა გამოაცხადა, რომ ფედერალისტები სამ სხდომას სტოვებენო და გავიდნენ კრებიდან. ვილცამ დაიძახა: ადვოკატებმა იშოვეს დრო სასამართლოში თავისუფლად სასიარულოდ. ფედერალისტების თან გაყვნენ ქანდარის „ძმები".

ჩაკუნა.

---

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ წესრიგის პირველ რიგში არის სოც. ფედერალისტთა ფრაქციის განცხადება დეპ. ჩხიკვიშვილისა და ნუცუბიძის შორის მომხდარი ინციდენტის გამო და აღნიშნავს, რომ დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადასწყვიტოს, თუ რა მიმართულება მიეცეს ამ საკითხს. რეგლამენტის ძალით ორატორების განკარგულებაში 5 წუთია.

შ. მესხიშვილი. (ს. ფ.) დეპუტატ ჩხიკვიშვილის მიერ დეპუტატ შ. ნუცუბიძისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება არის დიდი პოლიტიკური საკითხი. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ის დღესვე გაარჩიოს დამფუძნებელმა კრებამ და დღესვე გამოიტანოს გადაწყვეტილება.

კ. გვარჯალაძე. (ს. დ.) სამწუხაროდ ამ ბოლო დროს აქ, დამფუძნებელ კრებაში, და უფრო ხშირად ამ ტრიბუნიდან ზოგიერთი დეპუტატები ისეთი სიტყვებით უმასპინძლდებიან ერთმანეთს, რომელიც სრულებით არ არის დასაშვები. ხშირად ეს არა სასიამოვნო მოვლენები იწვევენ სამწუხარო შედეგებს. ასეთ არა სასიამოვნო და სამწუხარო მოვლენებს ევროპის პარლამენტებშიც, მაგ. გერმანიაში და ავსტრიაშიც ჰქონია ადგილი, მაგრამ არსად არავის არ მოუთხოვია ის, რაც სოც. ფედერალისტებმა მოითხოვეს. (ს. დადიანი: იქ ეს მომხდარა ბრძოლის დროს და არა შეურაცხყოფით, მიპარვით). ეს ინციდენტი ვერ შეადგენს და არც უნდა შეადგენდეს დამფუძნებ. კრ. მსჯელობის საგანს, აქ ის ვერ გაირჩევა. დაზარალებულ მხარეს აქვს სხვა საშუალებები, რომლებითაც შეუძლია მას თავი დაიკმაყოფილოს.

ლ. შენგელაია (ს. რ.) აცხადებს, რომ ამ ინციდენტით შეურაცყოფილია არა ერთი დეპუტატი, არამედ—მთელი დამფუძნებელი კრება და ამიტომ ბუნებრივათ მიგვაჩნია ამ ინციდენტის აქ ამოწურვა. თუ თქვენ ამის საშუალებას არ მოგვცემთ, მაშინ ჩვენი ფრაქცია ნიშნად პროტესტისა ამ სხდომას დასტოვებს.

კ. ნინიძე ამბობს, რომ მომხდარი ინციდენტი არ არის ისეთი პოლიტიკური საკითხი, როგორც ის აქ დასახეს. ეს პირადი საკითხია, მაგრამ მე მაშინებს ის დასაბუთება, რომელიც მას გვარჯალაძემ გაუკეთა. ორატორი აკრიტიკებს გვარჯალაძის დასაბუთებას და მაშინ ეხება იმ მეთოდის გამოყენებას, რომელიც ჩხიკვიშვილმა მიმართა [illegible] წინააღმდეგ. ორატორი მოითხოვს, რომ ეს საკითხი ამოსწუროს დამფუძნებელმა კრებამ.

ალ. ასათიანი (დემოკრატიული ფრაქციის სახელით) აცხადებს, რომ ამ სამწუხარო ინციდენტის შესახებ დამფუძნებელი კრება ვერ ილაპარაკებს, ვფიქრობ, რომ ეს საკითხი [illegible] არ გამოირკვევა, დამფუძნებელი კრების პლენუმზე და ის განხილვა რომელიმე კომისიას. მაგრამ რაკი აქ გამოიტანეს, საჭირო იქნება განსაკუთრებული კომისიის არჩევა, ან სასამართლოს წესით ამ საკითხის გამორკვევა.

გრ. რცხილაძე აღნიშნავს, რომ წამოყენებული საკითხი უდღესად პოლიტიკური საკითხია და ის უნდა გაარჩიოს დამფუძნებელმა კრებამ.

ტერ-ხუდაბაშიანი (დაშნ.) მოითხოვს საკითხის პლენუმში ამოწურვას.

ა. ბერიშვილი. ჩვენი ფრაქცია მწუხარებას გამოსთქვამს, როგორც ამ ინციდენტის, ისე იმის გამო, რაც უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა ხალხის უზენაეს ორგანო—დამფუძნებელ კრებაში. მართალია, მომხდარი ინციდენტი სამწუხაროა, მაგრამ ჩვენ ისიც უნდა განვაცხადოთ, რომ ზოგიერთი დეპუტატები ისეთ რამეებს კადრულობენ აქ, რასაც ადგილი არ აქვს უბრალო პატარა კრებებზე, თუ გნებავთ „იაჩეიკის" კრებაზედაც. (ნ. ჟორდანია: მართალია!) და მე მგონია, რომ ბოლოს და ბოლოს პარლამენტმა უნდა ჰკითხოს თავის თავს: ამიერიდან მაინც მოეღება თუ არა ბოლო ასეთ სამწუხარო, მოვლენებს. ჩვენ აქ გვითხრეს, რომ აქ შეურაცყოფილია დამფუძნებელი კრება, თვით ხალხიო. ერთი გვითხარით ბატონებო, როდესაც აქ ერთმა დეპუტატმა ესერების ფრაქციიდან გვარდიის მაუზერისტი რომ უწოდა, რომელმა ხალხმა დაუვლა მას ეს?

მე გავიგონე, რომ ერთმა დეპუტატმა მეორე დეპუტატს ჯიგარი უწოდა (ხმა ადგილიდან; ეს შალვა ნუცუბიძე იყო, ნ. ხიმერიკი: ძალიან კულტურული ყოფილა?!) განა ეს დასაშვებია, ეს დაუვლია მას ხალხმა? (ი. ბარათაშვილი: ეს საჯაროთ არ ყოფილა თქმული. სიცილი). ეს სულ ერთია, ისე ხომ იყო თქმული. აქ ამას წინეთ დეპუტატ ლეო შენგელაიას მეგრული თხა უწოდეს (ხმა ადგილიდან: ეს იყო დეპ. შალვა ნუცუბიძე) და ამიტომ ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთ სამწუხარო მოვლენებს ამიერიდან მაინც ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენ ვამბობთ, რომ ჩხიკვიშვილსა და ნუცუბიძეს შორის მომხდარი ინციდენტი არ არის პოლიტიკური საკითხი, ის კერძო საკითხია და სრულებით არ მოლაპავს დამფუძნებელი კრების პრესტიჟს. დეპუტატზე ძალადობა არ უხმარია სახელმწიფოებრივ დაწესებულებას, ორგანოს ცხადია აქ შეუვალობაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამიტომ ასეთი კერძო საკითხის შესახებ დამფუძნებელი კრება ვერ იქონიებს მსჯელობას, ამისთვის არსებობს სხვა საშუალება.

პირადი საკითხი ათვის სიტყვა ეძლევა ზ. ჩხიკვიშვილს, რომელიც აღნიშნავს, რომ ცილიუა, თითქოს დიჯი ლაპარაკის დროს გაერტყას მას ნუცუბიძისათვის, პირიქით, მან, ჩხიკვიშვილმა, მოსთხოვა ნუცუბიძეს სრულიათ კულტურული გზით იმის დამტკიცება, რაც დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან იყო თქმული ჩხიკვიშვილის საწინააღმდეგოთ. მაგრამ ნუცუბიძე მას არ გაყვა საამხანაგო სასამართლოში და უთხრა გამომწვევი კილოთი, კიდევ გავიმეორებ იმ სიტყვებს ტრიბუნიდანაო. მხოლოდ ამის შემდეგ ამბობს ორატორი, მე ვერ მოვითმინე და დავარტყი, ვაცხადებ, რომ არავითარ წინასწარ განზრახვას ადგილი არ ჰქონია, იყო მხოლოდ აფექტი ნუცუბიძის გამომწვევი ლაპარაკით გამოწვეული. ამიტომ მე პირადათ დიდი მოხარული ვიქნები, თუ დამფუძნებელი კრება ამ საკითხის შესახებ იქონიებს მსჯელობას, მაშინ მეც საშუალება მომეცემოდა დამემტკიცებია თუ როგორ უმართებულოდ მიხსენიებენ მე მაგრამ თუ დამფუძნებელი კრება არ გაარჩევს ამ საკითხს, მე თანახმა ვარ შ. ნუცუბიძეს გავყვე საჯარო სამედიატორო სასამართლოში, ან ოფიციალურ სასამართლოში (დადიანი რაღაცას ლაპარაკობს). ბ. დადიანო როდესაც მე და ნუცუბიძეს ეს შეგვემთხვა, მაშინ თქვენ რამოდენიმეჯერ დიდად შემაგინეთ ნაცვლათ იმისა, რომ ორი მოჩხუბარი მხარე გაგეშველებინათ (ს. დადიანი და დეპ. წულაძე რაღაცას ელაპარაკებიან ერთმანეთს, ტყუილა ხმაური, ზ. გურული მიმართავს დადიანს: ბ. დადიანო ნუ გვიწვევთ. დადიანი: სცადეთ! გურული: ნუ გვიწვევთ! თავმჯდომარე ზარს რეკავს და კრებას მოუწოდებს სიწყნარისაკენ).

თავმჯდომარე საკითხი ამოწურულია შემოსულია სამი რეზოლიუცია მე კენჭს ვუყრი. სოც.-ფედერალისტების და დემოკრატიული ფრაქციის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა. მიღებულ იქნა სოც.-დემოკრატიული ფრაქციის მიერ წარმოდგენილი შემდეგი რეზოლიუცია:

„სოც.-დემოკრატიული ფრაქცია წინადადებას იძლევა, რომ სოც.-ფედერალისტთა ფრაქციის წინადადება დეპ. ჩხიკვიშვილის დამფუძნებელი კრებიდან გაძევების შესახებ მოხსნილ იქნას და დამფუძნებელ კრებაში მსჯელობა ამის შესახებ შეწყდეს".

ამის შემდეგ შ. მესხიშვილი სოც-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ ს.-ფედერალისტთა ფრაქცია ნიშნად პროტესტისა 3 სხდომაზე არ გამოცხადდება ესერებმა და ფედერალისტებმა დარბაზი დასტოვეს.

შემდეგ გრ. ურატაძე მოახსენებს კრებას დეკრეტს სახელმწიფო მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ, მოხსენებული ამბობს: დეკრეტი, რომელიც გრძელდება მისაღებად დამფ. კრებას შეეხება მუშა მოსამსახურეების მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესებას, ვფიქრობ არ დამჭირდება მეტი ლაპარაკი იმის შესახებ, თუ რა გაჭირვებას განიცდიან დღეს მუშა-მოსამსახურეები. უკანასკნელი მომატება, როგორც იცით, მოხდა აგვისტოში. მას შემდეგ ცხოვრება იმდენად გაძვირდა, რომ არსებული ხელფასი ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებს პირველ მოთხოვნილებათა მინიმალურ მოთხოვნილებასაც კი. საჭირო და აუცილებელი იყო ასეთი მდგომარეობის როგორიმე შეძლებისდაგვარათ გამოკეთება. ყველაზე უკეთ ეს შეიძლებოდა მომარაგების გაფართოვებით, რომ მუშა-მოსამსახურეებს პირველ მოთხოვნილებათა საგნები მიეღოთ მომარაგებით. სამწუხაროდ დღევანდელ პირობებში ეს არ ხერხდება. პოლიტიკურმა გართულებამ მომარაგების ყურადღების ცენტრში დასვა ფრონტი და სხვაფრივ არც შეიძლებოდა. ამ რიგათ ჩვენ იძულებული ვართ დროებით მაინც მივმართოთ ფულის ნიშნებით ჯამაგირების გადიდებას. დეკრეტით განზრახულია მომატება 50%, ხოლო სანამ მომარაგების სამინისტრო შესძლებდეს ნახევარი გირვანქა პურით ულუფის გადიდებას—კიდევ 50% პროცენტი—როგორც დირებული განზრახული პურის მომატებისა.

ასეთია მოკლეთ შინაარსი ამ დეკრეტისა, რაც თვეურათ ითხოვს სამ მილიონ მანეთს. ეს დეკრეტი მიღებულ იქნა.

გ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი 5 და 10 ათასიანი ბონების გამოცემის შესახებ.

## დღესასწაულის მომწყობ კომისიისაგან

კვირას, 6 თებერვალს, საქართველოს დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობის აღსანიშნავათ დღესასწაულის მომწყობი კომისია აცხადებს შემდეგ წესრიგს:

11 საათზე იკრიბებიან რუსთაველის პროსპექტზე ჯარი, გვარდია, მუშათა პროფეს. კავშირები, პოლიტიკური და კულტურული ორგანიზაციები, შევარდენი, მოწაფეები. ყველა ამათგანს თავიანთ ადგილს მიუჩნევენ განსაკუთრებული ხელმძღვანელები. სრულ 12 საათზე მთავრობა ილებს უცხოელ მისიებისაგან მოლოცვებს სასახლეში—შესავალი სამხრეთით.

პირველ საათზე მთავრობის თავმჯდომარე ილებს ალლუმს და ესალმება ხალხს. ცერემონიალით გავლილი ჯარი, გვარდია, შევარდენი და მწკრივი მოწაფე ახალგაზრდებისა შემოუვლიან თავისუფლების მოედანით, პუშკინის ქუჩით, უმის შესახვევში, კალოუბნის, ქვაშვეთის და ბარიატინის ქუჩებზე. ამის შემდეგ იწყება [illegible] კრების წინ და რუსთაველის პროსპექტზე სპეციალურათ [illegible] ტრიბუნებიდან.

სიტყვის მსურველები წინდაწინ უნდა ჩაეწერონ მომწყობ კომისიაში მუშათა პროფესიონალურ კავშირის სეკრეტარიატის მდივანთან.

საღამოს სახელმწიფო ოპერის და დრამის თეატრებში გაიმართება საზეიმო უფასო წარმოდგენები. ბილეთები განაწილებული იქნება სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა, პროფესიონალურ კავშირთა და პოლიტიკურ ორგანიზაციების საშვალებით.

ქალაქი გაჩირაღდნებული იქნება, მოქალაქეებმა უნდა მორთონ თავიანთი სახლები ეროვნული და წითელი დროშებით, ხალიჩებით და გირლიანდებით.

8 საათიდან თავისუფლების მოედანზე თვითმართველობის შენობის აივანზე ამართული იქნება ეკრანი, საიდან აჩვენებენ კინემატოგრაფიულ სურათებს: საქართველოს დამოუკიდებლობისას, სახალხო გვარდიის დღე აწყურისას და ბათომში საქართველოს ჯარების შესვლას.

საერთო წესრიგს იცავს მილიცია, ხელმძღვანელობას უწევს და ადგილებს აწესრიგებს სპეციალური ხელმძღვანელები კომისიის მიერ დანიშნულნი, რომელთაც ნიშნები ექნებათ მკლავზე.

საერთო ხელმძღვანელობა ცერემონიის დაკისრებული აქვს ქალაქის მოურავს ბ. ჩხიკვიშვილს.

---

ყველა მოსწავლეები მესამე კლასიდან დილის 9 1/2 საათიდან შეიკრიბებიან თავიანთ სასწავლებლებში და აქედან გაემართებიან სახელმწიფო უნივერსიტეტში, საიდანაც „შევარდენის" მეთაურობით მივლენ პარადზე დილის სრულ 1 საათზე და გაყვებიან რაზმსა და გვარდიას თავისუფლების მოედანით, პუშკინის ქუჩით „შევარდენი" დაიკავებს ბარიატინის ქუჩას; მოწაფეები დაიშლებიან: პარადზე მოსული ჯარი და გვარდია ჩამწკრივდება რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხარეზე ერმოლოვის ქუჩიდან 26 მაისის ქუჩამდე, ხოლო პროფ. კავშირები იჭერენ რუსთაველის პროსპექტის მარჯვენა მხარეს ჩრდილოეთის ნომრებიდან სახაზინო თეატრამდე.

მოძრავი ტრიბუნები იქნება მუზეუმის, სასტუმრო „ორიანტის" და „დიდების ტაძარი"-ს წინ.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

თებერვლის 5.

## ფრანგული ცნობები

ბრიანის დეკლარაცია.

არისტიდ ბრიანმა დეპუტატთა პალატაში წაიკითხა მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებული დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია პარიზის კონფერენციის მიერ დადასტურებული გადაწყვეტილებანი გერმანიის განიარაღების შესახებ და აგრეთვე კონფერენციის ზოგიერთი დადგენილება, რომელიც შეეხება აღმოსავლეთის საკითხს. ეს საკითხი თანახმად დეკლარაციისა განხილული იქნება ლონდონის კონფერენციაზე. აქვე განხილული იქნება საკითხი ავსტრიის მდგომარეობის შესახებ.

სამინისტროს დეკლარაციაში აღნიშნულია ის ზომები, რომლებსაც მიიღებენ მოკავშირეები, თუ გერმანიამ არ შეასრულა თავისი ვალდებულებანი. თანახმად ამ ზომებისა, შესაძლებელია ოკუპაციის ვადის გაგრძელება, გერმანიის საბაჟო გადასახადის დაჭერა. გერმანიის ტერიტორიის შემდეგი ოკუპაცია, დაკავებულ ოლქებში საბაჟო ტარიფის შემოღება და სხვა. გერმანიას არ მიეცემა უფლება აგრეთვე ერთა ლიგაში შესვლისა მანამ, სანამ იგი არ შეასრულებს თავისი თავზე მიღებულ ვალდებულებებს.

პოლონეთი და რუსეთი.

პოლონეთის საგარეო მინისტრმა საპეგამ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა: ჩემის აზრით მას შემდეგ რაც პოლონეთისა და რუსეთს შორის ზავი დამყარდა, საბჭოთა რუსეთის მხრით რუმინეთს არავითარი საშიშროება არ მოელის, ვინაიდან განაცხადა საპეგამ, რუმინეთთან ომის დაწყება ამავე დროს ნიშნავს პოლონეთთან ბრძოლასაც. უკანასკნელი ფრაზის განმარტება არ მოისურვა საპეგამ და სთქვა, რომ ეს საიდუმლოება უნდა ახსნას პოლსუდსკიმ, მაგრამ დაუმატა, რომ მთელი ქვეყანა მალე შეიტყობს, რომ რუმინეთთან ბრძოლა იქნება იმავე დროს პოლონეთის წინაალმდეგ ომის დაწყება.

## რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

რუმინეთი და რუსეთი.

რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საბჭოთა საგარეო საქმეთა კომისარს ჩიჩერინს გამოუგზავნა ცნობა, რომელშიაც იგი ამბობს, რომ რუმინეთისა და რუსეთის ურთ-ერთი რწმუნებულ მეგობრულ განწყობილების და შინაურ საქმეებში ჩაურევლობის შესახებ გვაძლევს საშუალებას შევიმუშავოთ გეგმა იმ საკითხებისა, რომლებიც უნდა გაირჩეს საზავო მოლაპარაკების დროს. ამ მიზნით რუმინეთის მთავრობა იძლევა წინადადებას გააგზავნონ რიგაში თითო დელეგატი იმ საკითხების გამორკვევათ, რომლებიც საზავო მოლაპარაკებამ უნდა გადასწყვიტოს.

## გერმანული ცნობები

გერმანია და საფრანგეთი

ნაუენი 5 თებ. საფრანგეთის პრემიერმა ბრიანმა დეპუტატთა პალატაში გერმანიის განიარაღებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ სიტყვა წარმოსთქვა. ამ სიტყვის შემდეგ აშკარა ხდება, რომ მოკავშირეები თავის მუქარას იმ შემთხვევაშიაც განახორციელებენ, თუ შესრულებული არ იქნებოდა ის პირობები, რომლებიც შეიმუშავა კონფერენციამ ზარალის ანაზღაურების შესახებ. ექსპორტზე 12% გადასახადი დაინიშნა საფრანგეთის ექსპერტების მოთხოვნილებით. გერმანული პრესა დასცინის იმ იდეას, რომელსაც ახორციელებს საფრანგეთის პოლიტიკა.

ინგლისი და რუსეთი.

თანახმად „იზვესტიების" მიერ გადმოცემულ ცნობებისა ინგლისსა და რუსეთს შორის წარმოებული სავაჭრო მოლაპარაკება შეწყდა, ვინაიდან ინგლისმა მოითხოვა, რომ რუსეთს ეცნო ინგლისის გავლენის სფეროში მყოფათ: ინდოეთი, მცირე აზია, სპარსეთი და ავღანისტანი და შეეწყვიტა ამ ქვეყნებში ბოლშევიკური პროპაგანდა.

## აქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

სპარსეთი და რუსეთი.

მოსკოვი. სპარსეთის პრესა ბეჭდავს იმ ხელშეკრულების ტექსტს, რომელიც დაიდვა მოსკოვისა და სპარსეთის მთავრობებს შორის. თანახმად ხელშეკრულებისა საბჭოთა მთავრობამ რჩება ყველა ის უპირატესობა და უფლება, რომლითაც სპარსეთში მეფის მთავრობა სარგებლობდა. რუსეთის წარმომადგენლათ სპარსეთში დაინიშნა როლოვსკი.

ბოლშევიზმი.

სტამბოლი. „სტამბოლი" ევროპაში გაშლილ ბოლშევიკურ პროპაგანდის შესახებ საკითხს მოწინავე წერილს უძღვნის. მიუთითებს იმ დიდი თანხის დახარჯვისა, რომელიც გაიღო მოსკოვმა მთელ ქვეყანაში ბოლშევიკურ პრო-

